ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3521116

ნომერი: AR1537181

თარიღი : 04.09.2017

გაცემის თარიღი : 07.09.2017

გაცნობის თარიღი : 07.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ბრეგვაძე პ/ნ 54001004875
- ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 30, კორპ I, ბინა 8

ორგანიზაცია:

- შპს ,,პსპ ფარმა" კოდი: 202203123

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. საჭიროა პანდუსი მოიყვანოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 -დადგენილებასთან შესაბამისობაში. გაითვალისწინეთ:

- პანდუსის სიგანე, ერთმხრივი გადაადგილებისას უნდა იყოს არაუმცირეს 0,90მ.

- მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, შედგენილი გრძივი ღეროებისაგან 0,5 მეტრის და 0,7 მეტრის სიმაღლეზე. (იხილეთ დანართი1. ნახაზი2)

- პანდუსის სიბრტყის ყოველი გრადატეხის ადგილში აღმართის დასაწყისსა და დასასრულში საჭიროა გაკეთდეს ჰორიზონტალური ბაქნები, სიგანით არანაკლებ პანდუსის სიგანისა და სიგრძით არანაკლებ 1,5 მ-ისა. პანდუსის მიმართულების შეცვლის შემთხვევაში, ჰორიზონტალური ბაქნის სიგანემ უნდა უზრუნველყოს ეტლის მანევრირება.

- პანდუსის გარეთა გვერდებისა და ბაქნების მოედნების კიდეებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ქიმების მოწყობა, სიმაღლით არანაკლებ 10 სმ-ისა.

2. დამატებით წარმოდგენილ იქნას სიტუაციური გეგმა საპროექტო პანდუსის გაბარიტული ზომების მითითებით და პანდუსიდან ტროტუარის კიდემდე მანძილის დატანით.

3. ვინაიდან პანდუსის განთავსება ხორციელდება საზოგადოებრივ სივრცეში, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.